პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 მარტი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 54 (15571)

ლენინური იდეების ერთგულები



პარტიული ბილეთები გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებსა და ცენტრალური კომიტეტის მდივნებს

პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული ბილეთები გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს. (საკვლევი).

□ □

კომუნისტებმა, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, უდიდესი კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ 1 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1973 წლის ნომუშის №1 პარტიული ბილეთი გამოწერეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — ჩვენი პარტიის დამაარსებლისა და ბელადის სახელზე, რომ ამ პარტიულ ბილეთს ხელი მოაწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს საკვლევის კორესპონდენტმა სთხოვა პარტიის ვეტერანებს თავიანთი აზრი გაეზიარებინათ პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დაწყებასთან დაკავშირებით. აი რა განაცხადეს მათ:

ა. ი. ბელენეცი,

სკკპ წევრი 1903 წლიდან.

უდიდესი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ნომერ პირველი ახალი ნომუშის პარტიული ბილეთი შევსებულია ჩვენი ეპოქის პირველი კომუნისტის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელზე, რომ ამ პარტიულ ბილეთს ხელი მოაწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. ბედნიერი ვარ, რომ მრავალი კომუნისტის სურვილის შესაბამისად ახალი ნომუშის პარტიულ ბილეთზე არის ჩვენი პარტიის დამაარსებლისა და ბელადის ვ. ი. ლენინის გამოსახულება. ბილეთზე წარწერილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვები: პარტია ჩვენი ეპოქის გონებაა, ღირსებაა და სინდისია. ეს წარწერა მუდამ მოაგონებს კომუნისტებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ იკისრეს, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შეიდგნენ, იმას, რომ რა პოსტზეც უნდა შრომობდეს კომუნისტი, ყველგან საქმეს უნდა აქსოვდეს თავისი გულის, სულის ნაწილს, იყოს, როგორც ლენინური ცენტრალური კომიტეტი ვგულისხმობ, მომთხოვნი სხვებისადმი და კიდევ უფრო მომთხოვნი საკუთარი თავისადმი.

ბ. ფ. ლუდვინსკაია,

სკკპ წევრი 1903 წლიდან.

— ლენინის ანდერძისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უერთგულებას მოწმობს შესანიშნავი ტრადიცია: პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დროს № 1 პარტიული ბილეთი ივსებოდეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელზე.

ჩვენ, პარტიის ვეტერანებს, ვგულისხობ, როცა ვსიდავთ, რომ ლენინის იდეები, აზრები, ანდერძი საფუძვლად უდევს კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მთელ მის საქმიანობას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროს თანამმდევრულად ახორციელებენ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლა, რომელიც მიმდინარეობს როგორც დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიება, — კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ იყო კომუნისტი —ეს არის დიდი პატივი, და არანაკლებ დიდი პასუხისმგებლობა.

მ. ვ. ფოფანოვა,

სკკპ წევრი 1917 წლიდან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მტკიცედ მიჰყავთ პარტია ლენინის მიერ დასახული გზით. ჩვენ, პარტიის ვეტერანები, დიდად კმაყოფილი ვართ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ახრულებს ლენინის ანდერძს, დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ კიდევ უფრო შინაარსიანი იყოს შინაპარტიული ცხოვრება, იზრდებოდეს კომუნისტთა აქტივობა და დისციპლინა.

ამ მაღალ მიზნებს ემსახურება სწორედ პარტიული ბილეთების გამოცვლა, რომელიც უკვე დაიწყო და რომელსაც წინ უძღოდა დიდი და მრავალმხრივი მუშაობა ყველა პარტიულ ორგანიზაციაში. მეტად სიმბოლურია ისიც, რომ პარტიული დოკუმენტების გამოცვლა დაიწყო ამაღლებულებელი და საზეიმო მოღლენით. № 00000001 პარტიული ბილეთი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამოწერეს კომუნისტური პარტიის დიადი დამაარსებლის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელზე.

მეცნიერება და ცხოვრება

ბჩვენს ქვეყანაში მეცნიერება ცხოვრების ყველა უბანზე ხელშესახებ ხაწარმოო ძალად იქცა, რომლის მონაპოვრები მწყობრში დგებიან და წინ სწევენ კომუნიზმისათვის ბრძოლის ტემპებს. სოციალისტური სახელმწიფო მეცნიერებას აყენებს ხალხის ხამსახურში.

საბჭოთა სოციალისტური ქვეყანა უდიდესი მეცნიერული ძვრებისა და წინსვლის ხამშობლოა. იგი ამაყობს მეცნიერთა შესანიშნავი მიღწევებით, მაგრამ კიდევ უფრო მეტ მოელის მეცნიერებისაგან. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისაგან. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ვკითხულობთ:

დაჩქარებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები მეცნიერების ყველაზე ეფექტიანი დარგებში კვლევის ყოველმხრივ განვითარებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვის გადების შემცირების გზით, ფართო მასშტაბებით განვახორციელოთ ხელით შრომის შეცვლა მანქანური შრომით, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის დარგობრივი და შიდასადარგო სტრუქტურის სრულყოფა.

მაძიებელი, აღმომჩენი, წინმსწრაფი, გამარჯვებული საბჭოთა მეცნიერების დიდ ანსამბლში ოვალსაჩინოა ქართული სოციალისტური მეცნიერების ხვედრითი წონა. რესპუბლიკის მეცნიერთა მთელი არმია. მეცნიერების თითქმის ყველა ძირითად დარგში დახაჭრებული, ახალ-ახალ ზღუდეებს იღებს; ფართოა გაჭანებას იღებენ მეცნიერებათა ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა, ტექნიკური შეცნიერება წარმოდგენილია აკადემიური, სასწავლო და საუნივერსიტეტო ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელით. ფართოდ ინერგება მეცნიერებათა მონაპოვრები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ხასიათოვნია ის შეგნება, რომ ქართული მეცნიერული და ტექნიკური აზროვნების არაერთი თვალსაჩინო შედეგი რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

უფრო ადრე — ქართველ მეცნიერთა მიერ შესრულებულ მთელ რიგ გამოკვლევებს ლენინური და სახელმწიფო პრემიები მიენიჭა. დიდი საბჭოთა მეცნიერების მიღწევებსა და წარმატებებში მცირე წვლილი როდი მიუძღვით საქართველოს მეცნიერებს.

ამასთან, მეცნიერების ამ საერთო მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს ხერხიოზული ნაკლოვანებანი მეცნიერული მუშაობის ყველა რგოლში. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული იმ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია, რომელიც აღნიშნული იყო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტის თებერვლის პლენუმმა ხაზი გაუსვა სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის მეთოდების სრულყოფის უაღრესად დიდ მნიშვნელობას და ამ მხრივ ეკონომიკის მეცნიერების წინაშე მდგომ ამოცანებს. აღინიშნა, რომ მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, მათ შორის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტს წლების მანძილზე არაერთხელ მიუმართავთ ხელმძღვანელი ორგანოებისათვის მეცნიერული რეკომენდაციებით, წინადადებებით ეკონომიკის ოპტიმალური განვითარების პრობლემების შესახებ. მაგრამ ამ დოკუმენტებმა ვერ პოვეს სათანადო ყურადღება. მსგავსმა დამოკიდებულებამ მეცნიერებისადმი დიდი ზიანი მიაყენა სახალხო მეურნეობის ეკონომიკას. პლენუმმა გაკრიტიკებულ იქნენ ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიური პრობლემების დამუშავების საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტები, რომელთა მუშაობას ჯერ კიდევ არ ახასიათებს სათანადო უკუგება და კოორდინაცია, რომელთა თემატიკაში ზშირად ადგილი აქვს პარალელიზმს.

რესპუბლიკის მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელობით, თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის მესამე — გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, შრომითი კოლექტივები იღებენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს და წარმატებებსაც აღწევენ მათს შესრულებაში. მშრომელთა საერთო ფერხულს მხარს უბამენ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებები, საყოველთაოდ ცნობილია ვალდებულებანი, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1973 წლისათვის აიღო. ამ ვალდებულებებში ნათლად გამოსჭვივის ქართველ მეცნიერთა მისწრაფება არა მარტო განამტკიცონ 1972 — საიუბილეო წლის წარმატებანი, არამედ კიდევ უფრო გაამდიდრონ და შემდგომ განავითარონ იგი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც აქტიურად იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, 1973 წლისათვის კისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს, რათა მაქსიმალურად გაძლიერონ აკადემიის როლი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. ნაკისრ ვალდებულებათა შორის ვხვდებით ისეთ დიდმნიშვნელოვან გამოკვლევათა და სამუშაოთა დამთავრებას, რომლებსაც ძალუძთ თვალსაჩინო ეფექტი მოუტანონ ჩვენს სახალხო მეურნეობას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონით უნდა იზრუნონ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა, მეცნიერთა დასარაზმავად, რათა შეიქმნას იმ ამოცანათა შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ვითარება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ამას მოითხოვს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი, მეცხრე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ჩვენი აქტიური მონაწილეობა. ყოველნაირად, ჯაბედაოსნად უნდა ვუჭერდეთ ხსრ მეცნიერთა ეფექტური შემოქმედებითი გეგმების და შთანაფიქრის განხორციელებას, შემოქმედებითს აქტივობას.

საქართველოს მშრომელები, ინტელიგენცია, თვალსაჩინოა ხედავენ და ღრმად რწმუნდებიან იმ ვეშმარიტებაში, რომ რესპუბლიკაში, აღებულია აღმშენებლობითი, შემოქმედებითი, პატიოსანი შრომის, მართალი სიტყვის, საყოველთაო-სახალხო საქმის გამარჯვების კურსი. ეს კურსი მთლიანად შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს — შეეჭქმნოთ ისეთი მორალური ვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს და დაამკვიდრებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში, შრომაში წესიერებას, მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი, მკაცრ პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის. ასეთი ატმოსფერო უნდა იგრძნობოდეს ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებშიც. მეცნიერთა შემოქმედებითს შრომაშიც, ურთიერთობაში, სიტყვას მუდამ მოსდევდეს საქმე!

ხალხისათვის, სოციალისტური სამშობლოსათვის სამსახური დიდი პატივია. ამის ღრმა შეგნებით უნდა იბრძოდეს ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა პარტიის მიერ დასმულ ამოცანათა შესრულებისათვის.

შეჯიბრების დროშით

ვინც თავი ისახელა

1950 წლის აპრილის იმ სამახსოვრო დღიდან, როდესაც საექსპლოატაციოდ გადაეცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველი მარტენის ღუმელი, იური გურგენიძე აქ მუშაობს.

ამ წლების განმავლობაში მან მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი გამოადნო. წარმოების მოწინავე არაერთხელ გამოსულა მნიშვნელოვანი წამოწყებით.

იური გურგენიძემ მიმდინარე წლის დასაწყისიდან 300 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფოლადი გამოუშვა.

სურათზე: მარტენის საამქროს მოწინავე მეფოლადე, კომუნისტი ი. გურგენიძე (წინა პლანზე).

ა. ხაკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეტი პროდუქცია —სრფელს

შარშან ქუთაისურმა შაბიამანმა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო და ამან კიდევ უფრო გაზარდა მასზე მომხმარებელთა მოთხოვნილება. წელს საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს 4.000 ტონა შაბიამანი. ეს დიდი პასუხისმგებლობას აკისრებს საამქროს კოლექტივს. ამას წინათ ქუთაისური შაბიამანი გაიგზავნა უნგრეთში. მეშაბიამნეებმა მიმდინარე წლის თებერვლის საწარმოო დავალება უკვე შეასრულეს. ისინი მაღალი ტემპით შრომობენ ამ დღეებში. მტკიცედ იბრძვიან ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე განადღებისათვის.

ნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან შეტაპარატეები ა. ჯანგავაძე, გ. ბერაკაძე, ვ. მაისაშვილი და სხვ.

მეტი და მაღალხარისხოვანი შაბიამანი მივიღო სოფელს, — ამ დევიზით შრომობენ ქუთაისელი მეშაბიამნეები.

გ. თარგამაძე,
ქუთაისის ლითოფონის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

რუსთავი— დნეპროძერჟინსკი

დნეპროძერჟინსკიდან დაბრუნდა ქართველ მეტალურგთა დელეგაცია, რომელმაც ხელი მოაწერა რუსთავისა და დნეპროძერჟინსკის მეტალურგიული ქარხნების საგლობავი საამქროების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას. ხელშეკრულება თვალსაწინეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან ათასობით ტონა ნაგლინი, მთელი წლის განმავლობაში იმუშაონ უწუნოდ, აითვისონ პროდუქციის ახალი პროფილები, ამაღლონ მისი ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება.

ხანგრძლივი და მტკიცე შეგობრობა აკავშირებთ ქართველ და უკრაინელ მეტალურგებს. თავის დროზე უკრაინის შავი მეტალურგიის საწარმოებში, მათ შორის დნეპროძერჟინსკის საწარმოებში ეუფლებოდნენ ჩვენი რესპუბლიკისათვის ახალ კოქსქიმიკოსთა, მეპრჭმელთა, მეფოლადეთა პროფესიებს.

— ჩვენ არა მარტო ვეჯიბრებით ერთმანეთს, არამედ გამოცდილებასაც ვუზიარებთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საღლობავი საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ა. რეზნიაშვილმა, — მაგალითად, ჩვენ უკრაინელ მეგობრებს გადავეცით ჩვენს ქვეყანაში პირველად ათვისებული დამლის მანქანის ნახაზები, ვესაუბრეთ ჩვენში დანერგილი ბლუმინგის სახურგელი ჭების ამწეთა დისტანციური მართვის სისტემის შესახებ. ჩვენი მხრივ დნეპროძერჟინსკელ მეგობრებისაგან გადავიღეთ ორი სხმულის ერთდროული გლინვა, ავიღეთ ბლუმსების გადასართველი მანქანების ნახაზები, გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ხახურებელი ქვების ისეთივე სასაანელო წყობა, როგორც მათ აქვთ.

დნეპროძერჟინსკის მეტალურგიულ ქარხანაში უფროსმა ოპერატორებმა — ყოფილმა მასწავლებელმა ა. ჯაჯანიძემ და მისმა მოწაფემ ვ. ფიკმა მოაწყვეს მეგობრობის დღობა. (საქინფორმი).



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ განიხილა და მოიწონა რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ქვემოთ გამოქვეყნებული მიმართვა საქართველოს ფიზიკულტურული ორგანიზაციებისა და ქვეყნის სპორტსმენისადმი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებსა და საუფლო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაევალათ განიხილონ ეს მიმართვა და შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებები დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲥᲕᲐᲛᲘ

საბჭოთა ხალხი მძლე ნაბიჯით მიდის წინ, ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად სახალხო მეურნეობის, მრეწველობისა და კულტურის დარგში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა 1973 წლის — მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დადგომისთანავე, როცა საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვანმა ხალხმა მტკიცედ დადაწყვიტა ენერგიის დაუზოგავად იბრძოლოს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა შესრულებისათვის. ფაბრიკა-ქარხნებში, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში გაშლილი სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულია ახალი წარმატებები: სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა სამშობლოს ძალიერება, რათა კომუნიზმის მშენებელმა ხალხმა კიდევ უფრო ბედნიერად იცხოვროს.

ამ დიადი სახალხო საქმის განხორციელებისათვის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას მხარი აუბეს საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა. ისინი განამტკიცებენ საშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულებასა და ნაყოვარულს.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ითავეს უზრუნველყონ ზაფხულის არდადეგების პერიოდში სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის სტუდენტთა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობა. რესპუბლიკის კომკავშირის ეს პატრიოტული ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

საქართველოს ხამშენებლო ობიექტებზე თუ ხაკოლმეურნეო მინდვრებში მომუშავენი ფიზიკურად გაკაჟებული უნდა იყვნენ, რათა გადაჭარბებით შეასრულონ აღებული ვალდებულებები, შექმნან მაღალი ხარისხის ნაგებობანი, მოიყვანონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უხვი მოსავალი. ამიტომ ჩვენი ვალია ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ ფიზიკულტურული მუშაობის გაწლაში, არსებული კოლექტივების განმტკიცებაში, სპორტული ბაზების მოწყობაში. დიდი მშენებლობები, მსხვილი საბჭოთა მეურნეობები თუ კოლმეურნეობები, სოფლის ახალგაზრდობა მუდამ უნდა გრძნობდნენ ჩვენს დახმარებას. საშიფო მუშაობა, რომელსაც სტოვე ამ რამდენიმე წლის წინათ დაიდო, ახალი ძალით უნდა გაჩაღდეს.

საბჭოთა სპორტის ძლიერება მისი მასობრიობაა. ამიტომ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ ფიზიკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა, განსაკუთრებული უურადღება დავუთმოთ ხაშეალო და ხელოვნური განათლების სკოლების მოსწავლეთა ფიზიკურად გაკაჟებას, ამ ორგანიზაციებს დავეხმაროთ სპორტული ბაზების აგებაში, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებაში.

ქალაქისა და სოფლის მშრომელებს, ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ხშირად უნდა ეხატმრონ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი სპორტსმენები, გუნდები, ფიზკულტურის სპეციალისტები, უჩვენონ მათ თავიანთი ოსტატობა, დაუფლიონ სპორტული ბაზების აგებასა და მოწყობაში, აღმოაჩინონ ახალი ტალანტები, რომლებიც ჩვენში მრავლად არიან, მაგრამ ვერ ვახერხებთ მათს გამოვლენას და დიდ სპორტულ სარბიელზე გამოყვანას. შაბათ-კვირას უნდა მოეწყოს სპორტული ხალამოები. ხაჩვენებელი გამოსვლები, ლექციო-მოხსენებები საბჭოთა სპორტის ხაკითხებზე. ადგილობრივ ახალგაზრდობას უნდა დავეხმაროთ ფოტოსტენდებისა და ვიტრინების მოწყობაშიც.

საქართველოში დიდი მუშაობაა გაშლილი მშდ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატიულების ჩაბარებისათვის. ამ საქმეში ბევრი ორგანიზაცია, ქალაქი და რაიონი დაწინაურდა, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ჯერ კიდევ გვხდება თვალის ამხვევნის, მიწერის ფაქტები. სახტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყალბიმაქნილებს, მომხვეჭელებს, ხაჭვოთა სპორტსმენთა უცნო, მოგლეჯნებს.

მეტი ადგილი უნდა დაეთმოს სპორტის ეროვნულ საბჭობებს, დასამალავი არ არის, რომ რესპუბლიკაში დღესდღეობით ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ქართული ჭიდაობის, ცხენოსნობის ეროვნულ სახეობათა, ლელეშურეთის განვითარებას. სავალო ხქნება მკაცრად მოვთხოვოთ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს მეტი მუშაობა ამ მხრივ. ხომ უდავოა, რომ ალბრედ ეროვნული სახეობანი კლასიკური სპორტის საფუძველი.

უწინ ტარდებოდა მასობრივი კროსები, რომლებშიც ათი ათასობით ახალგაზრდა მონაწილეობდა და ბევრი წარმატებასაც აღწევდა, ოსტატობის შემდგომი სრულყოფით დიდ სარბიელზე იხვეჭდა სახელს. ამ ბოლო დროს ეს კარგი ტრადიცია რატომღაც დავიწყებას მიეცა, თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ეპიზოდურად ჩატარებული ასეთი შეჯიბრებები წვეთია ზღვაში. მასობრივმა კროსებმა მთელი რესპუბლიკა უნდა მოიცვას. შეჯიბრებები უნდა მოეწყოს ხშირად და მაღალ სპორტულ დონეზე. მოუთმენელია, რომ ჩვენი რესპუბლიკის კროსმენები საკავშირო შეჯიბრებებში ბოლო ადგილებზე რჩებიან.

საბჭოთა სპორტსმენი ყველასათვის სამაგალითო ადამიანი უნდა იყოს — თავაზიანი, თავდაბალი, მეტოქის პატივისმცემელი. ამიტომ საუბარაოზე უნდა გამოვიყვანოთ ის ვაიხპორტსმენები, რომლებშიც დაივიწყეს საბჭოთა სპორტის მორალი. ჩვენი ათლეტებისათვის დამახასიათებელი ჩვენება. მართალია, ასეთი ფაქტები იშვიათია, აქა-იქ ვვხდებეს, მაგრამ ამ იშვიათ შემთხვევებშიც მათდამი უმოძობელი უნდა ვიყოთ. ყოველ ფიზიკულტურულ ორგანიზაციაში, ნაკრებ თუ სპორტსაზოგადოებათა გუნდებში უნდა ავამაღლოთ და განვამტკიცოთ პოლიტიკაზმრნელობითი მუშაობა, რათა აღიკვეთოს წესრიგის დარღვევა, უხეშობა.

ჯერ კიდევ ნაკლებად იბეჭდება მხატვრული ნაწარმოებები — რომანები, მოთხრობები. ნარკვევები სპორტულ თემაზე კინოეკრანზე იშვიათად ნახავთ სპორტული ცხოვრების ამსახვეი ფილმებს. საქართველოს ლიტერატურისა და კულტურის მუშაკებს ვთხოვთ შექმნან ეპოქის შესაფერისი მხატვრული ტილოები ჩვენს ხალხოვან სპორტსმენებზე.

როგორც ცნობილია, დეკემბერში გაიმართა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც მიღებულ იქნა მიმართვა საქართველოს ყველა ფიზკულტურული კოლექტივისადმი, სპორტული სკოლებისა და კლუბებისადმი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებისადმი, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და უწყებათა ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყველა მუშაკისადმი. მოსალოდნელი იყო, რომ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ აღმავლობას ისახავს მიზნად, გამოხმაურებოდნენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები, მაგრამ ასე არ მოხდა. პრესაში გამოქვეყნებულ მიმართვას მხოლოდ ერთეული ორგანიზაციები გამოეხმაურნენ და მან მასობრივი განხილვის ხასიათი არ მიიღო. საჭიროა ეს საკითხი მოკლე ხანში ქალაქების, რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციების ფართოდ განხილვის საგნად იქცეს.

მეტი უნდა გაკეთდეს უფროსი ასაკის ადამიანთა ფიზიკურად გაკაჟებისათვის. ყოველ საწარმოში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში უნდა ჩამოვაყალიბოთ გამაჯანსაღებელი ჯგუფები, თევზაობის, ტურიზმის სექციები, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოო ტანვარჯიშის ფართოდ დანერგვას.

უნდა ამაღლდეს მწვრთნელთა ავტორიტეტი, ჩვენი სპორტსმენი ახალგაზრდობის ყველა აღმზრდელი საქმისათვის თავდადებული, ყველასათვის სამაგალითო და მისაბაძი უნდა იყოს.

ჩვენში მრავლად არიან სპორტის ვეტერანები, რომლებიც წინათ სასახელოდ იცავდნენ რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზობებში. ისინი აქტიურად უნდა ჩავაბათ ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში. ამით ჩვენს ახალგაზრდებსაც დავეხმარებით და ვეტერანებსაც გავუხანგრძლივებთ სიცოცხლეს.

დასამალავი როდია, რომ ჩვენი ისედაც მცირერიცხოვანი სპორტული ბაზები სათანადოდ მოვლილი და დაცვირთული არ არის. დანარჩენ დღეებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ არც შაბათ-კვირას არის დიდი ხალხმრავლობა, არ ტარდება მასობრივი სპორტული ღონისძიებები, არ მუშაობენ გამაჯანსაღებელი ჯგუფები. ზოგიერთი ბაზა უპატრონოდ არის მიტოვებული. ყოველი სპორტული ნაგებობა მაქსიმალურად უნდა დაეტვირთოთ, ჩვენი ახალგაზრდობის დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკაჟების კერად ვაქციოთ.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბელორუსიის რესპუბლიკამ. ეს კი გვავალებს ეკაციეებული ენერგიით ვიმრომოთ ჩვენში ფიზიკური კულტურისა და სპორტის კიდევ უფრო აღმავლობისთვის. სპორტის ჭეშმარიტი მასობრიობისთვის. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა შესრულებისათვის. ქართული სპორტის მაღალი კულტურისა და წინსვლისათვის.

რესპუბლიკის სპორტის ვეტერანები და მოქმედი სპორტსმენები იმედს გამოთქვამენ, რომ ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციები, ცალკეული ათლეტები გაათკეცებენ იმუშავებენ, თავდაუზოგავად იბრძოლებენ საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის კიდევ უფრო განვითარებისათვის, სპორტის მასობრიობისთვის, ახალი ტალანტების გამოვლენისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სახელოვნად შესრულებაში.

ნ. დუმბაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ე. გოკიელი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ბ. ჯიღელი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ნ. გაფრინდაშვილი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ბ. პაიჭაძე,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ვ. ხანეთი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **შ. ჩოჩიშვილი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **რ. შავლაყაძე,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ა. მეტრეველი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ა. წაქაძე,** სპორტის დამსახურებული ოსტატი; **ლ. იოსავიდი,** სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი; **რ. ხარულიძე,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; **ხ. სარხოიანი,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; **ა. ცხოვრებოვი,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; **ბ. მაღრაძე,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; **რ. ტარკილი,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

„ლელო“ 1/III.

დეკემბრის გაცვლა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბირმის კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნენმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ

ᲞᲠᲝᲪᲚᲐᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ წინათ — 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროშა აფრიალდა, საბჭოთა ხელისუფლება გამარჯვებულმა ერთად აფხაზი ხალხის ისტორიაში დადგა ახალი ერა — თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების შენებლობის ერა. აფხაზეთის მშრომელების მიერ ამ წლების მანძილზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყველა მოძმე ხალხებთან მჭიდრო კავშირში განვლილი გზა აღნიშნულია დიადი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ამას წინათ ზეიმით იდღესასწაულეს საბჭოების ქვეყნის ნახევარი საუკუნის იუბილე. ეს სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური დღესასწაული იყო. იგი მოგვვლინა ერთობლივი რევოლუციური ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის შედეგად, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფად.

ცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილებით ყველა რესპუბლიკამ, მათ შორის აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ თავის თავზე გამოსცადა მჭიდრო ერთიანობის ყველა უპირატესობა, დარწმუნდა, რა დიდან ნაყოფს იძლევა თვითეული ხალხის ძალებისა და ნიჭის შეკავშირება, რა უფაფრთოეს შესაძლებლობებს ქმნის იგი მომავალში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დღეს ფართოდ ჩქეფს შემოქმედებითი შრომა. რესპუბლიკა სავსეა ფაბრიკა-ქარხნების კორპუსებით, ახალმშენებლობათა ხარაჩოებით, მოვლილი მინდვრებითა და პლანტაციებით, რომლებიც უსვამდ იძლევიან ნაყოფს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში განახლდნენ და გაიზარდნენ ჩვენი ქალაქები, სახე იცვალეს სოფლებმა, მთებში გაიზარდა დიდი ინდუსტრიული ცენტრი — ტყვარჩელი, რომელიც მაღალხარისხოვანი სათბობით უზრუნველყოფს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს.

კამათში გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ პროკურორი მ. არღუნი, აჭარის ასსრ პროკურორი დ. ბაჯელიძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი ზ. ბასიშვილი, ქალაქ თბილისის პროკურორი შ. ლეკვა, გარდაბნის რაიონის პროკურორი გ. ფეიგინშვილი, ქალაქ ქუთაისის პროკურორი ა. ჟღენტი, ქალაქ გორის პროკურორი ვ. ხირსელი, ქალაქ ტყიბულის პროკურორი ვ. გოგოლაძე, სასამართლოებში რესპუბლიკის პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ა. შუშანაშვილი.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებმა განვლილ პერიოდში გარკვეული შუშაობა გასწიეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებდნენ ღონისძიებებს მექრთამეობის, შენიღბული დატაცების, ყოველგვარ მოტყუების გამოვლინების აქტივიზაციისათვის. შემცირდა განზრახი მძიმე სხეულის დაზიანების, ყაჩაღობის, ხულიგნობის, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები. მაგრამ, განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, დანაშაულების დონე მაინც მაღალი იყო. განსაკუთრებით სერიოზულ შეშფოთებას იწვევს განზრახ მკვლელობის, გაუპატიურების, პირადი ქონების, ქურდობის, ძარცვის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, თუმცა სისხლის სამართლის გამოძიების ხაზით დამნაშავეობა რამდენადმე შემცირდა.

მეტი ყურადღება ეთმობოდა იმ პირობების გამოვლენასა და აღმოფხვრას, რომლებიც დანაშაულის ჩადენას უწყობენ ხელს. პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლებმა წარდგინებანი შეიტანეს თითქმის ყოველი მეორე საქმის გამო. პროკურორები და გამომძიებლები უფრო ხშირად გამოდიოდნენ მშრომელთა კოლექტივების წინაშე და აკეთებდნენ საინფორმაციო მოხსენებებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ.

გამომძიების ხარისხის გაუმჯობესებისა და ვადების ერთგვარი შემცირების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრ საქმეს აბრუნებენ სასამართლოები ხელახლა გამომძიებისათვის და ბევრი საქმის გამო ირღვევა გამოძიების ვადები როგორც პროკურატურაში, ისე შინაგან საქმეთა ქვეგანყოფებში.

სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების მიუხედავად, სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარის დაჭერის ხარისხი მუდამ როდი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყოველთვის არ სრულდება სასამართლოების სადამსჯელო პრაქტიკა.

პროკურატურისა და საგამოძიებო კადრების შერჩევასა და აღზრდაში არის ცალკეული ხარვეზები. სათანადო ყურადღება არ ეთმობა მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში შეიქმნა უადრესად ხელშემწყობი პირობები გამომძალველობისა და კერძომესაკუთრული ტენდენციების, დატაცების, წამატებებისა და სახელმწიფო ანგარიშების სხვა დამახინჯების, უსარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. ამაღლდა მომთხოვნელობა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებისადმი სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში, უფრო ფართოდ აბამენ ბრძოლაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშრომელთა კოლექტივებს.

განხილულ საკითხებზე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილებანი.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. მანელაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გ. კარანაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე. (საქინფორმი).

Ბ. ᲨᲘᲜᲙᲣᲒᲐ,

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

□

რდით ხალხთა მეგობრობის ორდენია.

წლითიწლობით იზრდება აფხაზეთის მშრომელთა კეთილდღეობა და კულტურული დონე. გასულ სასწავლო წელს სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტმა 103 ათასს მიაღწია. შესრულებულია გარკვეული მუშაობა სრულ საშუალო განათლებაზე გადასასვლელად. გაიზარდა სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნამდვილი განვითარება ჰპოვა ატომნომიური რესპუბლიკის შინაარსით სოციალისტურმა და ფორმით ეროვნულმა კულტურამ. აფხაზურ საბჭოთა მწერლობას ამჟამად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. აფხაზი პოეტებისა და პროზაიკოსების წიგნები ყოველწლიურად გამოდის მოსკოვში, თბილისში, კიევში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. პოეტურმა კრებულებმა, მოთხრობებმა, რომანებმა უკვე მოიპოვეს სრულიად საკავშირო მკითხველის აღიარება, მათში ასახულია დიადი გარდაქმნები, რომლებიც აფხაზი ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა, ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომა.

ნიჭიერმა მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, მსახიობებმა, რეჟისორებმა კიდევ უფრო გამდიდრეს ჩვენი ხელოვნება. ბრწყინვალე ოსტატობით, მაღალი მოქალაქეობრივი ყურადღებით იყო აღნიშნული საიუბილეო გამოფენაზე ექსპონირებული ჩვენი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნაწარმოებები. სერიოზული შემოქმედებითი შემოწმება იყო სოხუმის თეატრის აფხაზური დასის საგასტროლო მოგზაურობა უკრაინაში. ქართულმა დასმა საიუბილეო წელი აღნიშნა ახალი მნიშვნელოვანი თეატრალური დადგმებით. ორივე დრამატული დასი წარმატებით გამოდიოდა თბილისში.

აფხაზეთს ახლა უკვე აქვს დიდი სამეცნიერო ცენტრებიც, რომლებიც კვლევას ეწევიან სხვადასხვა დარგში. ეს არის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაც, მედიცინაც, ბიოლოგია, მეცენაურეობა და ბევრი სხვა. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს 15 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. სხვადასხვა პრობლემების მეცნიერული დამუშავება წარმოებს აგრეთვე ჩვენს ორ უმაღლეს სასწავლებელში — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში.

განუხრელად იზრდება სამეცნიერო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა რიცხვი. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში არ არის ისეთი დასახლებული პუნქტი, სადაც არ შეიქმოდა საექიმო დახმარება გაუწევნ ვისაც ესაჭიროება. ბევრ სოფელს აქვს ისეთი საავადმყოფო, რომელიც აღჭურვილობით ოდნავაც არ ჩამოუვარდება ქალაქის საავადმყოფოებს.

მშვენიერია ჩვენი რესპუბლიკის ბუნება, იგი ჩვენი მრავალრიცხოვანი სტუმრების, კურორტებზე დასვენებლების, ტურისტების აღტაცებას იწვევს. აფხაზეთის მშრომელნი ამაყობენ თავიანთი ზღაპრული ბუნებით. უღრმესი მადლობის გრძნობით აღიქვამს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ბუნების დაცვის შესახებ (1972 წლის სექტემბერი) და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ (1973 წლის იანვარი).

ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელნი შეუდგნენ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წლის ზღუდეების იერიშს. აფხაზეთის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ყველა მშრომელმა, რომლებიც აღადგინეთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებამ საზეიმო საიუბილეო სხდომაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ენერგიულად შრომობენ, დღითიდღე ზრდიან სამრეწველო პროდუქციის წარმოების ტემპებს, გაჩაღებულია დაძაბული შრომა მინდვრებზე და პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა, რომელზეც ღრმა ანალიზი გაუკეთეს რესპუბლიკის სასაღსო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობას, მიღწევებსა და სერიოზულ ნაკლოვანებებს განსაზღვრა 1973 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების კონკრეტული გზები.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განტკიცებისათვის, გეგმების შესასრულებლად ხელმძღვანელთა და საწარმოო კოლექტივთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის უკანასკნელ ხანს მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად `საქართველოს სასაღსო მეურნეობაში მიღწეულია ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების გარკვეული გაუმჯობესება.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს აფხაზეთის ასსრ მრეწველობის მშრომელნი ითვალისწინებენ პროდუქციის ზრდის გადიდებას 12,6 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს 700 მილიონ კილოვატ-საათს. ქვანახშირის მოპოვება დასახულია 795 ათასი ტონის მოცულობით. გაიზრდება პროდუქციის გამოშვება ისეთ თანამედროვე ქარხნებში, როგორიც არის „სოხუმხელსაწყო“ და გაზის აპარატურისა, წარმოებული იქნება შარშანდელზე გაცილებით მეტი ფუსსაცმელი, ბაიხაო ჩაი, ხორცი. გათვალისწინებულია საკვლევ მასალების გამოშვების გადიდება. რაც უზრუნველყოფს დაკვრითს ტემპებს საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაშიც. პროდუქციის გამოსავლიანობას გაადიდებს ჩვენი სოფლის მეურნეობაც. მოიკრიფება და სახელმწიფოს ჩაბარდება 51,462 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს 988 ტონით მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხუთწლედის დამლევისათვის. ქვეყანა მიიღებს 6.020 ტონა მანდარინს, 7.080 ტონა თამბაქოს, 8.535 ტონა ბოსტნეულს. დაკვემილია საბინაო მშენებლობის შემდგომი ზრდა.

მარტო სახელმწიფო სასხენებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სასხენების სარჯზე დასახულია საცხოვრებელი სახლების 68 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ამოქმედება.

დასახული გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ ადმოვფხვრით ყველა იმ ნაკლოვანებას მუშაობაში, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ჰქონდა ადგილი და დიდად შლიდა ხელს საერთო წარმატებას.

ყოველივე ამის გათვალისწინების შედეგია, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პირველი თვეები აღინიშნა აფხაზეთის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის დამკვრელური შრომით. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ტემპები შეესაბამება გაზრდილ გეგმებსა და სოციალისტური ვალდებულებით დასახულ ზღუდეებს. ინვარში წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1972 წლის იანვართან შედარებით 25 პროცენტით გაიზარდა. კარგი სტარტი აიღეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. კარგად ვემზადებით მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, შარშანდელზე მეტია წარმოებული რძე და მეფრინველეობის პროდუქცია.

თებერვალში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ზეიმით და სისრულით აღნიშნეს საბჭოთა საქართველოს 52-ე წლისთავი. დღეს რევოლუციური დღესასწაულის ესტაფეტა აფხაზეთშია. საღღესასწაულო ზეიმი სასიათდება ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ყველა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მკაფიო აღმავლობით, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვით საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოების ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებისადმი, რომ 1973 წელი გახდეს კომუნიზმის ნათელი შენობის აგებისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე დაკვრითი მუშაობის წლად.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, როცა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის საამქროს ათვალიერებ, ოცილებლად შენიშნავ ბევრ სიახლეს, რომლებიც ადრე აქ ყოფნისას არ არსებობდა. გასამოვნებს, რომ ერთი შეხედვით ამ „ანაფოტოგენიური“, მძიმე მრეწველობის საწარმოს უზარმაზარი საამქროები „შაგად“ არ გამოიყურება და აქ ისეთივე დიდი სითბო და სინათლეა, როგორც ვთქვათ, საიუველირო ან საკონდიტრო ფაბრიკაში.

კიროველები ამ მხრივ სამაგალითონი ხართ. ძალიან ტუყვართ სისუფთავე და სიზუსტე, რადგან მათი პროდუქცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მეტალურგიულ ქარხანასა და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში იგზავნება, ულამაზობასა და, მითქმეტეს, უზუსტობას ვერ აიტანს — მომხმარებელი მკაცრი და მოთხოვნილია. ამიტომაც არის, რომ საკუთარი ფანტაზიით ჩარხმშენებლებმა ბევრად გაუსწრეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ჩარხსამშენებლო საწარმოებს და წარმოებს კულტურა მაღალ დონეზე აიყვანეს.

თბილისის ბევრ საწარმოში ვყოფილვართ, მაგრამ ის ენთუზიაზმი, რომელიც ჩარხმშენებლებს ამ საქმეში აქვთ, ჩვენი აზრით, არც ერთი საწარმოს კოლექტივს არ გააჩნია. კარგი იქნებოდა საერთოდ ყველას ენახა მათი ერთი შეხედვით თითქოს უბრალო, მაგრამ ბევრისმთქმელი და ბევრისდაშტვი თვალსაჩინოებანი — პლაკატები, საპატიო დფეები, ელვა-ფურცლები, ოპერატიული კვდლის ჯაზეთები, სურვილების, განცხადებების სტენდები, ათასნაირი წამახალისებელი „შუქურები“, სასიამოვნო ფერებით გაფორმებული კორპუსები, სუფთა, მაღალ დონეზე მოწყობილი სამუშაო ადგილები.

ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ კიროველები კარგ შრომით ხასიათს ამჟღავნებენ, კარგად შრომობენ და მოწინავენი არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, იციან, ნაკისრი ვალდებულებები ეს მტკიცე მუშური სიტყვაა და მას ვერ გატეხავენ. და ასრულებენ კიდეც. მაგრამ დიდი წარმატების მიღწევა დიდი შრომის ფასადაც უჯდებათ, ეძებენ ახალ რეზერვებს, ნერგავენ სრულყოფილ ტექნიკას, ითვისებენ მას, იმაღლებენ კვალიფიკაციას, ზრდიან ახალგაზრდა მუშათა კადრებს და იცავენ სოციალისტური შეჯიბრების ნაკად ფორმას — „შიდასაქარხნო კონკურენციას“, პირველობისათვის ერთმანეთს რომ უშვევენ საამქროები და უბნები, ბრიგადები, ინდივიდუალური მომუშავეები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრი ინიციატივა გამოუჩენიათ კიროველებს. აკადემი ნოვატორი მუშების სახელი ოდითგანვე იყო ცნობილი, მაგრამ სასიხარულო ის არის, რომ საწარმოს ახლანდელ მუშათა თაობას უფრო მეტს გაკეთების სურვილი აქვს, ვიდრე მათმა წინამორბედებმა გააკეთეს, და ამის უკეთესი შესაძლებლობაც — მათს ხელშია სრულყოფილი ტექნიკა, კარგად მოწყობილი სამუშაო ადგილები.

— მაგრამ დღეს მარტო ეს რიდი კმარა, — თქვა ჩვენთან საუბარში № 8 საამქროს № 4 უბნის მრანდავმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა გივი გარსევანიშვილმა, — საუკეთესო ხარისხის პროდუქცია რომ დაამზადო, პროფესიის სრულყოფილად უნდა დაეუფლო, უნდა ისწავლო მომჯობინავე პროფესიებიც, და — განა ერთი და ორი — ხუთი, ათი... უნდა ერკვეოდე ნახაზებშიც. ახლა ძალიან რთულ დეტალებს ვამზადებთ. მაგალითად, ჩვენს უბანზე სპეციალური მილდამმუშავებელი ჩარხების ძირითადი კვანძების დაახლოებით 1200 დასახელების დეტალი მზადდება, უბნის თვითეული მუშა ყოველდღიურად მრავალ, სრულიად სხვადასხვა ოპერაციის ასრულებს და ყველგან დიდი სიზუსტეა საჭირო...

გივი გარსევანიშვილი მართალია. მის უბანზე, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ჯუმბერ თოფურია ხელმძღვანელობს, ყველა, როგორც ერთი, საოცარი სიზუსტით და სიბეჯითით შრომობს, და ამ უბნით ამიტომაც ამაყობენ არა მარტო საამქროში, არამედ ქარხანაში.

აი რას ამბობენ ამ უბნის კოლექტივზე:

ა. შარაბიძე, ქარხნის პატიოსანი კომიტეტის მდივანი — ჩვენი ჩვენი საწარმოს თვალი. ოცდათორმეტივე მუშა ნოტარია. ჩამორჩენილები? არ ბობთ, ისინი სხვა უბნების ჩამორჩენილ მუშებს ეხმარებიან. პირველებმა იკისრეს ვალდებულება ხუთწლედი 3,5 წელიწადში შეასრულონ, გადაწყვეტეს ყოველდღიური გამომუშავების ნორმები 145 პროცენტით გაანდონ, ვალდებულებების მოხლეში გაითვალისწინეს ახალბედა მუშების აღზრდა, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა და სხვ. მეოთხეუბნელები, როგორც ყოველთვის, ახლაც პირველობენ.

თ. პაიკაძე, № 8 საამქროს უფროსი — მეოთხე უბანი ახლა ამრეოლის „ინგარიშში“ შრომობს. გადაჭარბებით სრულდება ნორმა-საათების ყოველდღიური გამომუშავების დავალებები. მეოთხეუბნელთა თავდადებულმა შრომამ ჩვენი საამქრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოიყვანა.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

- ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲗᲘ ᲣᲑᲐᲜᲘ
- „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ
- ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ
- ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ა. ალექსეენკო, ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — შემიძლია ვთქვა, რომ ძეთოხე უბახი ქარხანაში ყოველი გასახორციელებელი სიახლის საექსპერიმენტო უბანია. აქ შესანიშნავი კოლექტივი შეიკრიბა. ამიტომ, ახლა, როცა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის ინიციატივით გადაწყდა დაგვეწყო შეჯიბრება მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ კოლექტივის გამოცდილების მიხედვით, არჩევანი მეოთხე უბახზე შევაჩერეთ და არც შევმცდარვართ. იანვრის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ეს მეთოდი ჩვენთან მართლ ექსპერიმენტი არ იქნება, შეჯიბრება გაიშალა.

რას ნიშნავს ე. წ. „დინამოს“ მეთოდი? ჩვენი აზრით, იგი კარგი სიახლეა და ყველასაგან ყურადღებას მოითხოვს. მოსკოვის ქარხანა „დინამოში“ შეჯიბრების ამ მეთოდს კარგა ხანია იყენებენ. ერთი შეხედვით აქ თითქოს ახალი არაფერია, იგი ემყარება ინდივიდუალურ მომუშავეთა ვალდებულებებს და ბრძოლას მათი შესრულებისათვის. მაგრამ...

რა დასამალავია, რომ ჩვენს საწარმოებში ინდივიდუალური შეჯიბრება მეტად დაბალ დონეზეა. ცალკეულ რგოლებში იქამდეც კი მივიდნენ, რომ ინდივიდუალურ მომუშავეთათვის ვალდებულებების გაკეთეული ე. წ. „თარგი გამოვრეს“ და იგი ერთნაირად მიუყენეს სუსტსა თუ ძლიერს, გამოცდილსა თუ ახალბედას. ივსება ვალდებულებების ეგოფები არარეალური ციფრებით, მათზე კი არავითარი წარმოდგენა არა აქვს თვით მწარმოებელს, ერთმანეთზეც საქმისა ნორეკვესხმა წარმოდგენილ [illegible] ... ინდივიდუალურ [illegible] ... ეს [illegible] ... ჩვენი აზრით, კიროველთა ახალი ინიციატივა შეგვიტანს ინდივიდუალური შეჯიბრების გამოლის შესახებ ყუოადღების ღირსია, „დინამოს“ კოლექტივისამებრ შეიძლებელია თვითეული მუშის შესაძლებლობანი, თვეების მიხედვით შეჯამეს მუშაობის შედეგები და თვითეულისათვის ცალ-ცალკე დაანაზღაურეს შესასრულებელი ნორმა-საათები. შემდეგ ეს მაჩვენებლები მუშებს გააცნეს და იმათ შესაძლებლობა მიეცათ შეგნებულად ეკისრათ ვალდებულებები არა მარტო ახლო, არამედ პერსპექტიული ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ექსპერიმენტი სწორედ მეოთხე უბანში ჩატარდა. უბნის 22 მუშას დაურიგდა ინდივიდუალურ ვალდებულებათა სპეციალურად შედგენილი ფურცლები და თვითეულმა მათგანმა მეტად ორიგინალურად განსაზღვრა თავისი მომავალი სამუშაო გეგმა.

— ჩვენი უბნის უფროსი ოსტატის ა. კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით ინიციატორები საქმეს შეუდგნენ, — ამბობს მეოთხე უბნის უფროსი ნ. ბოლოვრია, — უბნის გამანაწილებელი ნ. საგინაშვილი ყოველდღიურად აკამებდა მუშაობის შედეგებს და აღმოჩნდა, რომ ვალდებულებებით გათვალისწინებული გრაფიკი არა თუ დავიცავით, არამედ ბევრად გავუსწარით კიდეც...

იანვრის შედეგებით საუკეთესო მაჩვენებელნი მოიპოვეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვეს მრანდავმა ბ. გარსევანიშვილმა, მღარავებმა ა. ერმაკოვმა, ტ. კუტუბოიმ, მრანდავმა ჯ. მელოროვამ, მბურღავმა თ. ხადურმა, მღარავებმა ვ. ირემაშვილმა, გ. ჯუბაშვილმა, ხარატმა შ. დოლიძემ, მღარავმა ფ. ჩიხლაძემ.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წასახალისებლად აქ შეძოღებული აქვთ „საუკეთესო ინდივიდუალური მომუშავის“, „პროფესიაში საუკეთესოს“ სპატიო წოდებები. პირველ წოდებას თვეში ერთხელ ანიჭებენ, მეორეს — კვარტალში ერთხელ. გამარჯვებულები ჯილდოდებიან სპატიო სიგელებით, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების შეჯამებელი სპეციალური კომისიის მიერ არის დაწესებული.

„დინამოს“ მეთოდით დაინტერესდნენ № 8 საამქროს სხვა უბნებზე და მეზობელ საამქროებშიც, ახლა ნოვატორთა რიგები თანდათან იზრდება. ქარხანაში პირადი დაზუსტებული ინდივიდუალური გეგმით შრომობს 270 კაცი. მაგრამ ეს ზღვარი როდია. კიროველები ფიქრობენ კიდევ უფრო სოციალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისების ფორმები. შეჯიბრების საქარხნო შტაბი, რომელსაც ქარხნის დირექტორი დ. კიკნაძე მეთაურობს, ახორციელებს ღონისძიებას დაიწესოს ვიმპელები, გარდამავალი დროშები, ფულადი ჯილდოები. საწარმოს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით ახლებურად წარმართავენ ინდივიდუალურ შეჯიბრებას, რომელიც ახლა რამდენიმე დეკადაზით მიმდინარეობს. მაგალითად, თუ გამოცდილი მუშები იბრძვიან სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, რომ ხუთი დღის გეგმები ოთხ დღეში შესრულონ, ახალბედები კისრულობენ მოიპოვონ დამკვრელის სპატიო წოდება, დაეუფლონ ვეტერანებს.

კიროველთა შეჯიბრება კარგად არის ორგანიზებული. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს საწარმოს კოლექტივის მუშაობის წლის პირველი ორი თვის შედეგები. საამქროთა უმრავლესობამ დავალებები გადაჭარბებით შეასრულა და ვადაზე ადრე დაიწყო წლის პირველი კვარტალის ბოლო თვე.

რ. ᲞᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲯᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა პროკურატურის საქმიანობის გასული წლის შედეგები და მისი ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ტაკიძემ.

კამათში გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ პროკურორი მ. არღუნი, აჭარის ასსრ პროკურორი დ. ბაჯელიძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი ზ. ბასიშვილი, ქალაქ თბილისის პროკურორი შ. ლეკვა, გარდაბნის რაიონის პროკურორი გ. ფეიგინშვილი, ქალაქ ქუთაისის პროკურორი ა. ჟღენტი, ქალაქ გორის პროკურორი ვ. ხირსელი, ქალაქ ტყიბულის პროკურორი ვ. გოგოლაძე, სასამართლოებში რესპუბლიკის პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ა. შუშანაშვილი.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებმა განვლილ პერიოდში გარკვეული შუშაობა გასწიეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებდნენ ღონისძიებებს მექრთამეობის, შენიღბული დატაცების, ყოველგვარ მოტყუების გამოვლინების აქტივიზაციისათვის. შემცირდა განზრახი მძიმე სხეულის დაზიანების, ყაჩაღობის, ხულიგნობის,



ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲪᲘᲜᲙᲘᲡᲐ).

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲨᲘ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ?!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

„წყალტუბოში ბოსტნეული არ იყოს?!“ — ამ სათაურით „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო ის ნაკლოვანებანი, რომლებიც აქვთ წყალტუბოს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს ბოსტნეულის წარმოების საქმეში.

კრიტიკულ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შეისწავლა პარტიის წყალტუბოს რაიკომმა და განიხილა ბიუროზე. აი რას გვწერს ამის შესახებ პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი შ. კაკაურიძე:

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილე

საერთაშორისო საავიეციო კონფერენცია

პარიზი, 2 მარტი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს პარიზში გაიმართა „საერთაშორისო საავიეციო კონფერენციის აქტის“ ხელმოწერის ცერემონია. თვითეული მთავრობების სახელით აქტს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის, ჰოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინგლისის, კანადის, ინდონეზიის, სამხრეთ ვიეტნამის საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

ცერემონიაზე საბოლოო სტატუსი წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ოლშოვსკიმ.

აქტის ხელმოწერას ესწრებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჯ. ვალდჰაიმი.

საერთაშორისო საავიეციო კონფერენციის აქტი:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა,
კანადის მთავრობა,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა,
ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა,
საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა,
სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა,
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა,
ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა,
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა,
ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა,
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობა
და ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობა,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანდასწრებით,

იმ გაზრახვით, რომ ცნობად მიიღონ ხელმოწერილი შეთანხმებანი, უზრუნველყონ ვიეტნამში ომის შეწყვეტა, მშვიდობის შენარჩუნება, ვიეტნამელი ხალხის ძირითადი ეროვნული უფლებების პატივისცემა და სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლება ხელი შეუწყონ ინდოჩინეთის მშვიდობას და უზრუნველყონ იგი,

შეთანხმდნენ შემდეგი დებულებების შესახებ და კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ და შეასრულონ ისინი:

მუხლი 1

მხარეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ აქტს, საჯაროდ ცნობად იღებენ, იწონებენ და მხარს უჭერენ ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმებას, რომელსაც პარიზში მოაწერეს ხელი 1973 წლის 27 იანვარს, და იმავე დღეს ხელმოწერილ ამ შეთანხმების ოთხ ოქმს (რომლებსაც შემდგომში შესაბამისად ეწოდებათ შეთანხმება და ოქმები).

მუხლი 2

შეთანხმება შეეხება ვიეტნამელი ხალხის მისწრაფებებს და ძირითად ეროვნულ უფლებებს, სახელდობრ: ვიეტნამის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის უფლებას, სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებას და მსოფლიოს ყველა ქვეყნის გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობისადმი. შეთანხმება დიდი წვლილია მშვიდობის, თვითგამორკვევის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. შეთანხმებასა და ოქმებს ყველა მხარემ განუხრელად უნდა სცეს პატივი და უცილობლად შეასრულოს.

მუხლი 3

მხარეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ აქტს, საჯაროდ ცნობად იღებენ ეალდებულებებს, რომლებიც აკისრეს შეთანხმებისა და ოქმების ხელმოწერმა მხარეებმა, რომ განუხრელად პატივს სცემენ და უცილობლად შეასრულებენ შეთანხმებასა და ოქმებს.

მუხლი 4

მხარეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ აქტს, საჯაროდ ცნობენ და განუხრელად სცემენ პატივს ვიეტნამელი ხალხის ძირითად ეროვნულ უფლებებს, სახელდობრ: ვიეტნამის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებას. მხარეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ აქტს, განუხრელად სცემენ პატივს შეთანხმებასა და ოქმებს, თავს შეიკავებენ ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება შეთანხმებასა და ოქმებს დებულებებს.

მუხლი 5

ვიეტნამის მყარი მშვიდობის ინტერესებისათვის მხარეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ აქტს, მოუწოდებენ ყველა ქვეყანას განუხრელად სცენ პატივი ვიეტნამელი ხალხის ძირითად ეროვნულ უფლებებს, სახელდობრ: ვიეტნამის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას და სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებას, განუხრელად სცენ პატივი შეთანხმებასა და ოქმებს, თავი შეიკავონ ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება შეთანხმებასა და ოქმების დებულებებს.

მუხლი 6

ა) ოთხ მხარეს, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთახმებას, ან სამხრეთ ვიეტნამის ორ მხარეს, შეუძლიათ თვითეულს ცალ-ცალკე ან ერთად, ინფორმაცია მიაწოდონ ამ აქტის ხელმომწერ სხვა მხარეებს შეთანხმებისა და ოქმების შესრულების შესახებ. რამდენადაც საერთაშორისო საკონტროლო და სამეთვალყურეო კომისია თავის მოხსენებებსა და აზრს შეთანხმებისა და ოქმების ამ დებულებათა შესრულებისადმი კონტროლისა და მეთვალყურეობის შესახებ, რომლებიც კომისიის ამოცანებს მიეკუთვნება, გაუგზავნის ან შეთანხმების ხელმომწერ ოთხ მხარეს, ან სამხრეთ ვიეტნამის ორ მხარეს, ამ მხარეებმა, თვითეულმა ცალ-ცალკე ან ერთად, დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს ისინი ამ აქტის ხელმომწერ სხვა მხარეებს.

ბ) შეთანხმების ხელმომწერი ოთხი მხარე, ან სამხრეთ ვიეტნამის ორი მხარე, თვითეული ცალ-ცალკე ან ერთად, ავრეთვე ცნობისათვის გადასცემენ ამ ინფორმაციას და ამ მოხსენებებსა და აზრს ვიეტნამის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მეორე მონაწილეს.

მუხლი 7

ა) შეთანხმებისა თუ ოქმების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ვიეტნამის მშვიდობას, დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ან სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებას, შეთანხმებისა და ოქმების ხელმომწერი მხარეები თვითეული ცალ-ცალკე ან ერთად, მოეთათბირებიან ამ აქტის ხელმომწერ სხვა მხარეებს მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებთა განსახილველის მიზნით.

ბ) საერთაშორისო საავიეციო კონფერენცია კვლავ იქნება მოწვეული, თუ ამას შეთანხმების ხელმომწერი მხარეების სახელით ერთობლივად ითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ან ამ აქტის ხელმომწერი ექვსი ან მეტი მხარე.

მუხლი 8

ინდოჩინეთის მშვიდობისათვის ხელშეწყობისა და მისი უზრუნველყოფის მიზნით ამ აქტის ხელმომწერი მხარეები ცნობად იღებენ შეთანხმების ხელმომწერი მხარეების ვალდებულებას პატივი სცენ კამბოჯისა და ლაოსის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ერთიანობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და ნეიტრალიტეტს, როგორც თვალსაწინოებს ამას შეთანხმება, ავრეთვე თანახმა ბრძანენ პატივი სცენ მათ და თავი შეიკავონ ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება, და ამისათვის მოუწოდებენ სხვა ქვეყნებს.

მუხლი 9

ეს აქტი ძალაში შედის ამ მომენტიდან, როცა ხელს მოაწერენ თორმეტივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლები და მას განუხრელად შეასრულებს ყველა მხარე. ამ აქტის ხელმოწერა არ ნიშნავს, რომ ცნობენ რომელიმე მხარეს, თუ მას წინათ არ ცნობდნენ.

შედგენილია პარიზში ათას ცხრაას სამოცდაცამეტი წლის ორ მარტს თორმეტ ეგზემპლარად რუსულ, ვიეტნამურ, ინგლისურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს აქვს ერთნაირი ძალა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო

კანადის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შარპი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ძი პენ-ფეი

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შუმანი

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ თხი ბინი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ი. პეტერი

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მალიკი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ ზუი ჩინი

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ა. დუგლას-ჰიუმი

ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრი ჩან ვან ლამი

ფაქტები

● **სამიდან ერთ ბელგიელს არასოდეს არ უყიდია წიგნი.** მცხოვრებთა 52 პროცენტი არასოდეს არ ყოფილა ბიბლიოთეკაში. ეს მონაცემები გამოაქვეყნა ბელგიის ხაზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ინსტიტუტმა მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე. როგორც გამოკითხვამ ცხადყო, მტკაცება, თითქოს ახლა ტელევიზია ადამიანთა კულტურული ცხოვრებიდან დევნის წიგნებს, სათუო აღმოჩნდა. მაგალითად, გამოკითხულთა შორის მეტწილად წიგნებს ისინი უყიდულობენ, ვისაც ტელევიზორი აქვს, და პირიქით, ისეთ შორის, ვისაც ტელევიზორი არა აქვს, ყველაზე მეტია ადამიანი, რომლებიც წიგნებს არ კითხულობენ.

● **ინგლისის პრემიერ-მინისტრმა** ჰიტმა შეწყვიტა თავისი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სასწრაფოდ დაბრუნდა ლონდონში. ამის მიზეზია ვალუტის კრიზისის ახალი გამწვავება, რაც გამოიწვია ამერიკული დოლარის განწყობილმა გაუფასურებამ.

● **ფინეთის ბანკმა** დღეიდან შეწყვიტა ხავალუტო ოპერაციები. ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია დასავლეთის ქვეყნების ხავალუტო ბაზრებზე მდგომარეობის ახალ გამწვავებასთან.

● **გერმანიის ფედერაციული** რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხავალუტო ბირჟები დახურული იქნება 7 მარტამდე. მან უარი თქვა ეპასუხა კითხვაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ახალი ხავალუტო ციებ-ცხელების ლიკვიდაციის მიზნით.

● **იტალიის ხელისუფლებამ** გადაწყვიტა იტალიის ბირჟებზე შეაჩერონ უცხოეთის ვალუტის ყოველგვარი ოპერაციები. ეს ღონისძიება გამოიწვია ვალუტის კრიზისის ახალმა გამწვავებამ, რასაც ადასტურებს ამერიკული დოლარის სპეკულაციურ ოპერაციათა მოცულობის მკვეთრი ზრდა.

ბერლინი

ლაიფციგის გაზრდაზე

2 მარტი. (საკადესი). საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობაზე, რომელიც 11-18 მარტს გაიმართება ლაიფციგში, საბჭოთა პავილიონში წარმოდგენილი ასზე მეტი სახეობის პროდუქცია ეკონომიური ურთიერთდასმარების საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შედეგია. 1.200 კვადრატულ მეტრ ფართობზე, რომელიც დათმობილი აქვს სპეციალურ ეკსპოზიციას თემაზე „სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაცია მოქმედებს“, წარმოდგენილი იქნება ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, შავი და ფერადი მეტალურგიის ნაწარმი, რომლის დამუშავებასა და წარმოებაში საბჭოთა კავშირთან ერთად მონაწილეობენ ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია და თუგოსლავია.

ხართუმი

მაკვლევლები დაიხოცენ

2 მარტი. (საკადესი). აქ გამოაცხადეს, რომ პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციის „შავი სეპტემბრის“ წევრებმა, რომლებიც გამაგრდნენ სუდანში საუდის არაბეთის საელჩოში, დახოცეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და ყოფილი დროებითი საქმეთა რწმუნებული, ბელგიის დროებითი საქმეთა რწმუნებული, რომლებიც მძევლად წაიყვანეს 1 მარტს. „შავი სეპტემბრის“ ორგანიზაციის წევრებს ჯერ კიდევ მძევლად ჰყავთ საუდის არაბეთის ელჩი, ავრეთვე ირდანიის დროებითი საქმეთა რწმუნებული.

სუდანის მთავრობის რადიომ გადმოსცა, რომ დატყვევებული უცხოელი დიპლომატები დახოცეს მიუხედავად იმისა, რომ სუდანის ოფიციალურმა პირებმა ყოველი ღონე იხმარეს მათ გადასარჩენად. სუდანის ხელისუფლებთან მოლაპარაკების დროს „შავი სეპტემბრის“ წევრებმა განაცხადეს. „დიპლომატიურ მთავრობას ჩვენთვის პირობა არ მოუცია“, რომ გაათავისუფლებენ ტყვეებს. სუდანის მთავრობამ დაგმო ეს ტერორისტული აქცია. აქ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ „სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გმობს უდანაშაულო ადამიანთა დახოცვის ფაქტს, იმ მოტივებს მიუხედავად, რომლებიც გამო ჩადენილია ეს მკვლელობა. მთავრობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამ ტრაგედიის გამო, რომელიც მოხდა მიუხედავად იმისა, რომ სუდანმა თავდადებულ ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა, რათა გადაერჩინა დიპლომატები“.

ბეირუთი, 2 მარტი. (საკადესი). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა სუდანის პრეზიდენტს დ. ნიმეირის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორგანიზაციას, რომელსაც იგი მეთაურობს „საერთო არა აქვს რა ხართუმში მომხდარ ინციდენტთან“.

ეგვიპტის პრეზიდენტი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის აკმაყოფილებს ალის სსრ კავშირში ყოფნის შესახებ

1973 წლის 26 თებერვლიდან 2 მარტამდე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის ა. ა. გრეჩკოს მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და მეომარალეულია ძალების მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი აჰმედ ისმაილ ალი.

აჰმედ ისმაილ ალი 27 თებერვალს მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

აჰმედ ისმაილ ალი შეხვდა და ესაუბრა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს ა. ა. გრეჩკოსა და სხვა სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელებს, ავრეთვე ეწვია მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებს.

შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილეს ურთიერთსაინტერესო საკითხები. ამასთან მხარეებმა ფართოდ გაუზიარეს ერმანეთს აზრი ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ეგვიპტის მხარემ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ეგვიპტისადმი თანმიმდევრული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის სამართლიან ბრძოლაში იმპერიალისტური ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა აჰმედ ისმაილ ალიმ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო მიიწვია ეგვიპტეში. ამ მიწვევას ა. ა. გრეჩკო მადლობით დათანხმდა, ვიზიტის დრო განსაზღვრება მოგვიანებით. (საკდესი).

ამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაციონალისტური ჯთავრობა და საიდუმლო პროფაშისტური ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ ჩაანშონ აპარტჰეიდის პოლიტიკით უკმაყოფილება, ხშირად ბრძოლის ტერიტორისტულ მეთოდებს იყენებენ არა მარტო რასიზმის აქტიურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, არამედ რესპუბლიკის ლიბერალურად განწყობილ თეორეტიკოსებ მოქალაქეთა წინააღმდეგაც.

ფაქტობრივ გაშლილი ბულვარი, რესტორნებით ღამის ბარებით, მაღაზიებითა და საცხოვრებელი სახლებით, გვერდით ცისფერ უდაბნოდ გარინდული ოკეანე; სი-პოინტი, კეიპტაუნის საკურორტო გარეუბანი, კვთილი ამედის კონცხს სულ რამდენიმე მილით თუ იქნება დაშორებული... ზაფხული აქ 13 დეკემბერს დაიწყო, დადგა შეიბულებების სეზონი. ხავერდოვანი ქვიშით დაფარული პლაჟები დამსვენებლებით აივსო, ადამიანთა ჯგუფები მორაგდა მრავალფერიოვან ვიტრინებთან. საღამოს ბულვარი მოსეირნეთა ნაკადმა აავსო.

...იტალიურ რესტორან „ფიორენტინიდან“ ხელგადაჯვეული გამოდის წყვილი. გამელელები ჩერდებიან, თვალს აყოლებენ... ესენი ხომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ცნობილი ადამიანები არიან — ცოლ-ქმარი ბერნარდები — კრისი და ბარბარა. ისინი მიეგარეთებიან ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სადაც მათი ავტომობილია დგას. ტროტუარის კიდესთან შეჩერდნენ და უცდიდნენ, როდის განთავისუფლდებოდა ქუჩა ავტომობილების ნაკადისაგან. ბერნარდი ფრთხილობს: საგზაო შემთხვევების ძალიან ბევრ მსხვერპლს გაუელია მის ხელში. ავტომობილების ნაკადი კლებულობს, ცოლ-ქმარი სარგებლობს ამით და გარბის საკუთარი მანქანისაკენ. მოულოდნელად ზურგიდან საბარგო მანქანის მოტორის ხმაური შემოესმათ. მოხედავენ ვერ მოასწრეს, რომ დიდი სისწრაფით მომავალმა ყვითელი ფერის საბარგო მანქანამ გადათელა ისინი და გაუჩინარდა...

ასფალტზე უგრძნობლად წვავს მსოფლიოში სახელგანთქმული ქირურგი კრისტიან ბერნარდი. ორიოდე მეტრის იქით წევს სახედასისხლიანებული ბარბარა. ხალხი გარს შემოვლებია დაბარალებულთ. „ღმერთო ჩემო, ესენი ხომ კრისი და ბარბარა არიან“ — ისმის შეძახილები.

...ახლომა ცნობამ წუთში შემოირბინა ქალაქი და ბევრი გააოცა. მაგრამ უფრო დიდი სენსაცია გამოიწვია სხვა ცნობამ: შემთხვევის დროს ერთ-ერთი მძღოლი საკუთარი მანქანით გამოეკიდა საბარგო მანქანას. მართალია, ვერ დაეწია, მაგრამ შენიშნა მანქანის სერია — ზბ. ეს ნიშნავდა, რომ საბარგო მანქანა ბოფორტ-უესტიდან იყო. ეს ქალაქი 450 კილომეტრით არის დაშორებული კეიპტაუნს.

რა უცნაურმა შემთხვევამ ჩამოიყვანა საბარგო ავტომანქანა ბოფორტ-უესტიდან ზღვისპირა ქალაქში, რომ აქ ის თვლებს შუა აღმოჩენილიყო კეიპტაუნის მკვიდრი? პასუხი მხოლოდ ერთი იყო: კრისტიან ბერნარდი სძღოლ ბოფორტ-უესტში. გასული წლის 19 ნოემბერს კრისტიან ბერნარდმა გამოაცხადა ოპოზიციურ გაერთიანებულ პარტიაში შესვლის შესახებ (მთავარი ოპოზიციური პარტია პარლამენტში, რომელიც გამოხატავს ინგლისის კაპიტალთან დაკავშირებული ბურჟუაზიის ინტერესებს. მმართველ ნაციონალისტურ პარტიასთან ერთად ოპოზიციური პარტიაც მხარს უჭერს რასობრივი სეგრეგაციის პრინციპს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მისი განხორციელების უფრო რბილ მეთოდებს მოითხოვს).

ეს საკმარისი იყო ბოფორტ-უესტისათვის, სადაც მთელი თეთრკანიანი მოსახლეობა მხარს უჭერს აპარტჰეიდის სისტემას პოლიტიკას, რომ ე. წ. „საზოგადოებრივობის აზრის“ გამოკითხვის შედეგად ბერნარდის ეს ნაბიჯი ტოტალურ გამოეცხადებინათ.

ქირურგის პასუხმაც არ დაიგვიანა: „ბოფორტში არ მოვწონ-ვარ? ნუ იღელდებით, ფეხს არ დავდგამ იმ ქალაქში. მე პატიჟს ვიცემ მამაჩემის ხსოვნას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ნაციონალისტ ე ბ თ ა ნ ბრძოლას“.

1968 წლის იანვარში ფილიპ ბლაიბერგისათვის გულის გადანერგვის ოპერაციის შემდეგ, მე ინტერვიუ ვუთხარ ბერნარდს. ამ დროს ბერნარდს თავს აბეზრებდნენ ჟურნალისტები, განსაკუთრებით კი ამერიკელები, რომლებიც ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ ქირურგს. ბერნარდი მაშინვე დამეთანხმა.

„არ გიფიქრია ამაზე, — ვკითხე მაშინ ბერნარდს; — რომ გულის პირველი გადანერგვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე ნაკლებად ფასდება ადამიანის სიცოცხლე“?

მან ბუნდოვნად მიპასუხა: მე დარწმუნებული ვიყავი მის გულწრფელობაში.

ადამიანის ასეულას მთავარზე იმდენი ხმაური არ გამოუწვევია, რაც ბერნარდმა მოახდინა თავისი სკალპელით. ლეგენდას გულის შესახებ დიმატა მეორე — ადამიანის არაჩვეულებრივი სახე — კრისტიან ბერნარდი. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ მეცნიერი რომელმაც ასეთი რთული ოპერაცია გაიკეთა, საკმაოდ მოხუცი კაცი ყოფილა ან ჭნება. აღმოჩნდა, რომ იგი ახალგაზრდაა და უყვარს ზმაურობა. ეს

დღეს აფხაზეთის რესპუბლიკაში

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ი. გოგეჩია

სტუმრად მწერალთან

ქალაქ სარატოვის საკისარების ქარხნის მუშაკი მიხეილ კოლბასინი წიგნის დიდი მოყვარულია. მის ბირად ბიბლიოთეკაში ორი ათასზე მეტი წიგნია. მათ შორის არის ცნობილი აფხაზი მწერლის იუანე პაპასკირის ნაწარმოებები.

ს. კოლბასინი თავის ამხანაგთან თ. აფანასიევთან ერთად ამას წინათ სოხუმში დასასვენებლად ყოფნის დროს სტუმრად უწვია მწერალ ი. პაპასკირის.

მწერალმა სტუმრებს მოუთხრო თავის შემოქმედებითს საქმიანობაზე, უასლოეს გეგმებზე. აღნიშნა, რომ ის ამჟამად მუშაობს რომანის „ერეახუს მისადგომებთან“ გაგრძელებაზე, აფხაზეთის ხალხის ცხოვრების ამსახველი ისტორიული მოთხრობების ციკლზე.

მწერალმა სტუმრებს აჩუქა თავისი წიგნები და აღნიშნა, რომ მისთვის დიდად სასიამოვნოა, რომ წიგნები მისი მშობლიური აფხაზეთის შესახებ ცნობილია შორს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ზამთარშიც ლამაზი სანახავია შავი ზღვის სანაპირო. განსაკუთრებით კი გაგრაში (სურათზე), სადაც მარადმწვანე მცენარეებით დაფარულ სანაპიროზე ყოველთვის შეზდებით დამსვენებლებს.

ს. კორეტკოვის ფოტო.

საგასტროლოდ მოსკოვში

მოსკოვში საგასტროლოდ გაემგზავრა აფხაზეთის ასსრ ფილარმონიის საესტრადო ანსამბლი „მღერის სოხუმი“ (ხელმძღვანელი გიორგი გავაშელი).

ანსამბლმა გასტროლებისათვის სპეციალურად მოამზადა ახალი პროგრამა, რომელშიც შედის საბჭოთა და უცხოელი კომპოზიტორების სიმღერები. აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი, მომღერალი ვერონიკა გავაშელი შეასრულებს აფხაზურ მელოდიებს. მოიკითხავთა ჯგუფი მაყურებელს უჩვენებენ ქართულ და აფხაზურ ცეკვებს.

ანსამბლი ორ თვეს დარჩება მოსკოვში, შემდეგ კონცერტებს გამართავს მოსკოვის ოლქის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ქეჯალი სპექტაკლი

ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული დრამის კოლექტივმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ცნობილი მოლდაველი დრამატურგის ი. დრუცეს პიესა „კასამარე“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა ბ. ტორონჯაძემ, მსატვრულად გააფორმა აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა მხატვარმა ე. კოტლიაროვმა, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის აფხაზეთის ასსრ სელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილს, ცეკვების დადგმა — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ლ. ჩიხლაძეს.

სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო და დამსახურებულმა არტისტებმა, სხვა მსახიობებმა.

ოთხგზის „ოქროს ნყვილი“

არტისტსპორტის ვინულმა კალაგ წარმატება მოუტანა საბჭოთა სპორტსმენებს — სპორტის დამსახურებულ ოსტატები ლიუდმილა პასხომოვა და ალექსანდრე გორშკოვი ბოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები გახდნენ სპორტულ ცეკვებში.

ჩვენმა წყვილმა შესანიშნავად შეასრულა ნებისმიერი პროგრამა — მსაჯებმა მათ ექვსი უმაღლესი შეფასება მისცეს — 6,0. საერთო ანგარიშით კი ჩემპიონებმა 524,20 ქულა მოაგროვეს (ადგილების ჯამი — 9).

მეორე ადგილზე გამოვიდნენ და-ძმა ანგელეკა და ერიხ ბუკები (გფრ) — 514,55 (18), მესამეზე — ინგლისელთა „დუეტი“ პილარი ჯრინი და ჯლინ უოტსი — 499,05 (29).

მსოფლიოს ჩემპიონატი ციგურაობაში

მოსკოველები ტატიანა ვოიტიუკი და ვიაჩესლავ ზასლავსკი ბალინი მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ — 488,30 (43). ირინა მოისეევა და ანდრეი მინენკოვი — მეშვიდეზე (475,80 და 63,5).

ვაშინგტონ ერთიანთა შეჯიბრებაზე მოცურაობენ მოკლე პროგრამა ჰქონდათ. სპეციალისტები და სპორტის მოყვარულები გამარჯვებას აქაც ჩეხოსლოვაკიელ ონდრეი ნებელას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ადგილობრივ გულშემატკივართა კერპი ამჯერად მეორე იყო — 78,51 ქულა (ადგილების ჯამი — 27,5). პირველობა აქ მოიპოვა კანადელმა ტოლერ ჯრენსტონმა — 78,95 (16,5). საბჭოთა მოციგურავემ მოსკოველმა ხერგეი ჩეტვერუხინმა აჩვენა მესამე შედეგი — 78,51 (31), ლენინგრადელმა იური ოვჩინნიკოვმა კი — მეხუთე (77,91 და 41,5). ორი სახეობის შემდეგ ლიდერობას მაინც ონდრეი ნებელა ინარჩუნებს.

ფინიშალური უპირატესობით

„დინამო“ — „დნეპრი“ — 1:0

თბილისში დინამოელებმა, რომლებიც ხელონისწინა მოსამზადებელ შეკრებას აშთავრებენ ლესელიძეში, აქ ბოლოსწინა ამხანაგური საკონტროლო მატჩი გამართეს.

მათი მეტოქე ამჯერად იყო დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისში, ინტენსიურ მცველთან ორთაბრძოლის მოგებისა და მეკარესთან პირისპირ გასვლის შემდეგ, გაიტანა ფირუზ რეხვიაშვილმა.

დინამოელები ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ბოგია, ძოძუაშვილი, ხურციელავა, ბელიძე, ებრალიძე, გაგაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ბუცაევი (კუტივაძე), რეხვიაშვილი, ყიფიანი.

სათადარიგო გუნდების ასპპარეზობაში გაიმარჯვა „დნეპრმა“ — 3:2 (1:1). თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ნახევარმცველმა გ. მაჩაიძემ (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით) და დინამოელთა ახალბედა თავდამსხმელმა ჯიქიამ.

უკანასკნელ საკონტროლო მატჩს ლესელიძეში თბილისის „დინამო“ ნაატარებს 7 მარტს — მოსკოვის „ტორპედოსთან“.

(„კომუნისტის“ კორ. ტელეფონით).

საჭადრაკო მერიდიანებზე

თბილისი. საქართველოს თასის ფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქში ჩიბურდანიძე-წერეთელი და ვაუებში ტუზოვსკი-ბოკუჩავა.

ჩიბურდანიძემ პირველი პარტია მოიგო, მეორე ყაიმით დაამთავრა და, ამრიგად, საქართველოს თასის მფლობელი გახდა. როგორც ცნობილია, 12 წლის ოსტატობის კანდიდატმა ამ მოკლე ხნის წინ თბილისს თასიც მოიპოვა. ნიჭიერი ჯოჯონა პირველად მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა ქალბერის თასის გათამაშებაში, რომელიც შემოდგომაზე ოდესაში გაიმართება. ამავე ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს ოსტატობის კანდიდატებმა წერეთელმა, კოროშინაძემ, პირველთანრიგოსნებმა ბელოზიოროვამ და ციცვაძემ.

ვაუთა ფინალურ მატჩში ოსტატობის კანდიდატმა ტუზოვსკემ (სოხუმი) ორიე პარტია მოიგო ოსტატ ბოკუჩავას და დაიუფლა თასს. მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში ოსტატმა ბერაძემ (წყალტუბო) მოუგო ოსტატ ბუსლაევს (3:1). ამრიგად, საკავშირო თასის ფინალში, რომელიც თბილისში გაიმართება, საქართველოდან ითამაშებენ ტუზოვსკი, ბოკუჩავა და ბერაძე.

ტალინი. დამთავრდა საერთაშორისო ტურნირის 8 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ტალმა დაამარცხა პშიბელი (ჩეხოსლოვაკია), 8 თამაშიდან 7 ქულა მოაგროვა და კვლავ ინარჩუნებს პირველ ადგილს. სპასკიმ ზუსტად გამოიყენა უპირატესობა პეფლეგერთან (გფრ). ყაიმზე შეთანხმდნენ პშიბელ-კიანერი, პოპოვ (ბულგარეთი)-ვესტერინერი (ფინეთი), პოპოვ-ტიმანი (ჩოლანდია) და სეიდი (აშშ)-რატოვი. კერესს 6 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა, 5,5 ქულა მოაგროვეს სპასკიმ და პოლუგაევსკიმ. 5 ქულა აქვს ნვინ, რომელიც ვროსმაისტერის წოდებისათვის იბრძვის.

გუდლო სვეტზე

ბილიარდი

ბარბაა. პოლოსეთში ფართო ფიზიასის იღებს საზოგადოებრივი კამპანია თამბაქოს წევის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობენ პროფკავშირული ორგანიზაციები, ახალგაზრდული და ქალთა კლუბები უდიდეს საწარმოთა ადმინისტრაციის მხარდაჭერით. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, ზოგიერთ ქარხანაში, განსაკუთრებით კონვეიერის სისტემის საამქროებში, გამოაცხადეს, რომ სამუშაოზე მიღების დროს უპირატესობა ეძლევა პირებს, რომლებიც თამბაქოს არ ეწევიან.

„ყვიოილ ეემაკთან“ ბრძოლის მეორე ეტაპზე მწეველებს ბოიკოტი გამოუცხადა ყველა რკინიგზის ვაგონმა, ხოლო პოლონეთში არსებულ „თამბაქოს მწეველთა ვაგონებშიც“ გამორნდა წითელი წარწერა „აქ არ ეწევიან“. მას შემდეგ, რაც მწეველები ცივ ტამბურებში განდევნეს, მათ წინააღმდეგ განხორციელდა კიდევ ერთი შტურმი. „ბრძოლა“ მათ გამოუცხადეს ვარშავის ტაქსის შოფრებმა, რომლებმაც თავიანთი პროფკავშირის კრებაზე აკრძალეს თამბაქოს მოწევა მანქანაში.

ტაქსისტებს ახლახან მხარი დაუჭირა მილიციამაც, რომელიც უკვე დიდი ხანია აპირებს „გაანიავოს ვარშავის ავტომობილების მოლით გაჟღენთილი სალონები“. ახლა ყოველ მილიციონერს უფლება აქვს ვარშავის შოფერი, რომელიც მანქანის ტარების დროს პაპიროსს ეწევა, ჯერ ჯერობით ჯერდებიან მხოლოდ შენიშვნასა და მოკლე ლექციას ავტომობილ-ქანაში წევის მავნებლობის შესახებ. ოვნისიდან კი გამოიყენებენ მატერიალურ ზომებსაც.

კომპანია წარმოებს პროფკავშირული კომიტეტებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანხმობით.

ქვესკნელიდან — ზედაპირზე

ბელგრადი. იუგოსლავიაში 1.250-ზე მეტი მიწისქვეშა მდინარე და ნაკადულია. ძირითადად ისინი გადიან მდინარის მთების რაიონში. მაგრამ ეს რაიონი, სადაც წელიწადში მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექები მოდის, უწყლოა. ამის მიზეზი ის არის, რომ მდინარეებს ტონი მიაქვთ მიწისქვეშ კარსტულ ქანებში. სწორედ აქ წარმოიქმნება წყალქვეშა მდინარეებისა და წყალსატევების საოცარი ჯაჭვი.

იუგოსლავი მეცნიერების წინაშე დადგა ამოცანა — ეს მდინარეები ამოიყვანონ ზედაპირზე, შექმნან სარწყავი სისტემა და ელექტროენერგიის მომარაგების პროექტი. ახლა მუშავდება და ხორციელდება კაშხლების, ჰიდროელექტროსადგურების, წყალსაცავების მშენებლობის გეგმები.

45 წელი უპარიზოდ

ბუქარესტი. გვარი პოპი რუმინეთში ისევე გავრცელებულია, როგორც მოსკოვში ივანოვი ან პოპოვი. მიუხედავად ამისა, ქალაქ სატუ-მარეში იოან პოპს იცნობს ყველა მცხოვრები.

...ერთ მზიან თებერვლის დღეს „ფოლვეების“ — ტაქსების ქარაგანაში ჩაიარა სატუ-მარეს ქუჩებში ავტომობილების სირენების გაბმულ ხმებმა. სიგნალები ქალაქში აკრძალულია, მაგრამ მილიციელებს არათუ აღუკვეთიათ დარღვევა, არამედ „შეგვინ ქუჩას“ უსხნდნენ ავტომანქანებს და ესამებოდნენ ნაცნობ შოფერს პირველ მანქანაზე. ასე აციცებდნენ აქ დამსახურებულ პენსიაზე შესანიშნავ ტაქსის შოფერს იოან პოპს.

45 წლის უავარიო მუშაობის განმავლობაში შოფერმა გაიარა 1,2 მილიონი კილომეტრი, რომელთაგან უკანასკნელი 600 ათასი კილომეტრი ერთი „ვოლგიო“. ეს მანქანა მან თავის შემცვლელს სრულიად გამართული გადასცა.

ბეჰემოთი იცვლის პროფესიას

დელი. ბეჰემოთი მანი, რომელიც მშვიდად ცხოვრობდა რვა წელს დელის ზოოპარკში, იცვლის... პროფესიას. 25 ათას რუპიად იგი შეიძინა ცნობილმა მოხეტიალე ცირკმა...

ახლად გამომცხვარ მსახიობს, უნდა ითქვას, ხრულიადაც არ მოსწონს, რომ ხელი აალებინეს სამხეცეში მშვიდ ცხოვრებაზე. ყოველ დღე იგი იძულებულია რამდენჯერმე ჩაძვრეს უზარმაზარ, სპეციალურად აშენებულ ამაზანაში, რომლითაც იგი ახლა მთელ ქვეყანაში იმოგზაურებს.

ზოოპარკის დირექტორი კ., რომლის აზრით ვეტერან მანის შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, დარწმუნებულია, ზოოპარკის დამთვალიერებლებს ორი ახალგაზრდა ბეჰემოთიც ეყოფათ. (საკვლევი).

უსიტყვოდ... უსიტყვოდ...

ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ

თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენლებთან. შეხვედრას ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უმაღლესი სასამართლო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, გაზეთი „ახალი გაზრდა კომუნისტის“ რედაქცია, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი და უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა

სამართლებრივი ცოდნა — ახალგაზრდობას

□

სამართლებრივი პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრმა შ. პაპიძემ.

შეხვედრის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: სისხლის სამართლებრივი სამძებრო სამმართველოს უფროსის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრის ვ. ოდიშვილისა — „ახალგაზრდობა და ბრძოლა დანშაულობის წინააღმდეგ“, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ვ. ედიშერაშვილისა — „გადაცდომა და დანაშაული“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის გ. იოსავისი — „სამართალი და ახალგაზრდობის მოვალეობანი“.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ავრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი რ. ბურჯანაძე, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი ი. მახარაძე, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სექტორის ხელმძღვანელი ო. მეზურნიშვილი, უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ზერაგია, უნივერსიტეტის პროორექტორი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჭილაშვილი.

(საქინფორმი).

დაინტერესებულ მკითხველთა კვალდაკვალ

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ ჩემი ყურადღება მიიქცია წერილმა „ჭურდბაცაცები“. გამოვიტყდებით — მეტად ჩამაფიქრა ახალგაზრდა კაცის ბედმა, რომელიც სწორ გზას ისცდა და ჭურდბაცაცების წუმპეში გადაეშვა. ახლა თითქმის ყველა ერთად ვამბობთ: — ახია, ასეთი ხორცმეტი ცოხეში უნდა წავიდეს, აქ არის მისი სამყოფელი.

ასეც არის: ვინც სხვის ნაოფლარით ცდილობს ფონს გასვლას, ის მუდამ წაიბორძიკებს და სასტაკადაც დაიჯება. ჭურდის შემნახავი ჭურდზე უარესია. მაგრამ ახალგაზრდა სანამ ამ უბედურებამდე მივიდოდა, სად იყო მშობელი, სკოლა, საწარმოს ხელმძღვანელობა, მეზობელი, ქუჩის კომიტეტი? ბევრში ვცოდავთ.

ამიტომაც კარგი იქნება შემდეგშიც მოუთრიდებლად ვამხილოთ ჭურდბაცაცები, მათი „აღმზრდელები“, ის დაწესებულება, სადაც გზასაცდენილი „მოღვაწეობდა“.

ვ. სუხიშვილი,

ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

ᲙᲘᲚᲐᲜᲘ ᲥᲣᲠᲓᲑᲐᲪᲐᲪᲔᲑᲖᲔ

ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ასეთი გამოხმაურება ერთი მრავალთაგანია, ზომლებსაც რედაქცია ყოველდღე ღებულობს. მკითხველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მუქთახორების, ჭურდბაცაცების წინააღმდეგ შეუმობელი ბრძოლა წუთითაც არ უნდა შეწყდეს.

ამავე დროს მათ საჭიროდ მიაჩნდათ ახალგაზრდა ადამიანთან დაძაბული შრომა, მისი პატიოსან ადამიანად აღზრდა, სწორ გზაზე დაყენება. მართლაც რომ ეს დიდ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ, საბოლოოდ, ამ საქმეს ზოგიერთნი ცალუბად უყურებენ: დე მაგაზე სხვამ იტეხოს თავი.

ასეთი წყაროების შედეგად ბატარა დამნაშავე ნამდვილ გამოუსწორებელ დამნაშავედ იქცევა. ამიტომაც არის, რომ ბოლო ხანს ჭურდბაცაცებმა აქა-იქ თავი წამოჭიეს.

ვინ არიან ისინი და რანი არიან? მოგახსენებთ ჭურდბაცაცების ერთ ჯგუფზე, რომელიც ქალაქ თბილისში მოქმედებდა.

1954 წელს დაბადებული გიორგი ვალერიანის-ძე მაისურაძე ორჯერ იჭდა ციხეში ქურდობისათვის. ღღენადგ ლოთობდა, ოსაქმეურობაში ატარებდა დღეებს... ხან სოხუმში იყო, ხან გაგრაში. ბოლოს ქალაქ გაგრაში ატარა პატიოსანი ოჯახი, გაქურდა. ვაქნილი რეციდივისტი თბილისსაც ესტუმრა, გაგრის პროკურატურას დაემალა. როცა შეიპყრეს, ჯიბეში პისტოლეტის ვეიდი საბრძოლო ვაზნა ალმოუჩნდა.

ნიკოლოზ რიჩარდის-ძე იაკობური ქალაქ თბილისის მუშა ახალგაზრდობის მეცხრამეტე სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა, კომკავშირელი, ცხოვრობს ბაქრაძის ქ. № 10. ერთხელაც არ დაინტერესებულან მისი შშობლები, სკოლა, თუ რა გზით შეიმართებოდა ეს ახალგაზრდა, რომელიც 1955 წელს არის დაბადებული და ბოლოს ქურდბაცაცათა წრეში აღმოჩნდა.

მერაბ ზურაბის-ძე თედორაძეი და ტარიელ ივანეს-ძე წიკლაური თბილისის 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები იყვნენ. მერაბი ეკაჟეფშაველას პროსპექტზე № 58 სახლის, ხოლო ტარიელი ფასანურის ქ. № 19 სახლის მცხოვრებნი არიან. ერთად დადიოდნენ, ერთად სვამდნენ, ერთად ქამდნენ. შშობლები, სასწავლებლის ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მაუურების როლში გამოვიდნენ. ყოველდღე მათ თვალწინ ნაქიფიერნი საექვოდ დაიარებოდნენ, დასეირნობდნენ, მაგრამ თავს არავინ აწუხებდა.

ვასილ მარტემინეს-ძე შესტაკოვი ფალაშვილის ქუჩის № 39 სახლში მცხოვრობდა, კომკავშირელი, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, ქარხანაში, მაგრამ სამსახურს აგდებულად ეკიდებოდა.

ჭურდბაცაცათა ამ ჯგუფმა ქალაქ თბილისში — კერძოდ ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონებში მრავალი ბინა გაქურდა, მშრომელი ადამიანები გაამწარა.

აღსანიშნავია, რომ ჭურდები მ. თედიაშვილი და ტ. წიკლაური წინათ სისხლის სამართლის სამართლებრივი ცოდნა — ახალგაზრდობას

სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები ალ. ბოლოკაძე, ალ. ბერიძე, ალ. ბაბალიანი, ალ. ბაბალიანი, ალ. ბაბალიანი